# გაზაფხული

ყოველთ სულთა, საცხოვრებლად,
სასიამოდ, საშვებელად,
გაზაფხულით განიღვიძეს!
ნიავი ჰქრის სუნნელების!
მდელო ნაზად აღმწვანდების!
და მზემ სხივნი ჰყო უნათლეს.

დრო საამო! როს ბულბული
ვარდსა შესტრფის ეშყით ზმული:
როს სიტურფე, სიხარული
ყოველთათვის აღმოჩნდების;
როს უმეტეს ტრფობის ალი
გულსა შინა აღეგზნების!
გაზაფხულის ჟამს სასურველს
ყოვლი იშვებს, ყოვლი ჰხარობს!
მხოლოდ ჩემს გულს დამწარებულს
ხმა ბულბულის აღარ ატკბობს.
ჩემთვის აღარ ტურფად ვარდი
ჰშლილობს, ჰფშინავს სუნნელებით!
ჩემთვის აღარ განთიადი
აღმობრწყინდეს ნეტარებით!
არ მახარებს დღე ნათელი,
არც ყვავილის ფეროვნება,
ცრემლთ მიმრავლებს გაზაფხული,
მის სიტურფე და მშვენება

ჩემს უყვარს გულსა დაღრეჯილს,
ცა მოღრუბლული რისხვითა:
როს გრიგალს, ჭექას და ქუხილს
ისმენს ქვეყანა კრძალვითა!
მაშინ სიკვდილსა მდუმარედ
სიამოვნებით მოველი,
რომ მას შევერთდე სამარედ
ვისთვისაც ვიყავ სულდგმული!
ვინც იყო ბედნიერების
ჩემის სიცოცხლის საგანად;
მხოლოდ ცრემლთ სიამოვნების
ვისთანა ვჰსცნობდი სადენად.
რომლის ვიხილე სიკვდილი
და მე კი დავჰშთი ამ სოფლად! დ
რომლის სიკვდილმან მე გული

მომიკლა და მჴყო გლახ ობლად.
ამა ურწმუნო სოფლისა
ადრე ვისწავე მუხთლობა:
მისსა ყოველსა კეთილსა
აქვს მხოლოდ წამი მყოფობა,
მის ჟამით არღა მახარებს
არც გაზაფხული მოსვლითა.
და არცა გულსა მიწუხებს
მე იგი თვისის წასვლითა.

1832 წ.